განათლება და მეცნიერება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში: ინოვაციები, კვლევები და საერთაშორისო თანამშრომლობა

თარიღი: 2025 წლის 2-3 ოქტომბერი

ლოკაცია: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

მისამართი: შოთა რუსთაველის გამზ. 52, თბილისი

ფორმატი: ჰიბრიდული

ორგანიზატორები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და „ჰორიზონტი ევროპა“ საქართველოს ეროვნული ოფისი

საერთაშორისო კონფერენცია **„განათლება და მეცნიერება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში: ინოვაციები, კვლევები და საერთაშორისო თანამშრომლობა“** მიზნად ისახავს ხელოვნური ინტელექტის (AI) პრაქტიკული და სტრატეგიული ზეგავლენის განხილვას განათლების სისტემებზე, სამეცნიერო კვლევებსა და ინსტიტუციური განვითარების პროცესებზე.

ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება ცოდნის გაზიარება, ინოვაციური პროექტების პრეზენტაცია და ეთიკურ, სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხებზე დისკუსია AI-ს ინტეგრაციის შესახებ განათლებისა და მეცნიერების სფეროებში. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები, განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის შემმუშავებლები და ინოვატორები ევროპიდან, აზიიდან და საქართველოდან.

პირველი დღე დაეთმობა საერთაშორისო ექსპერტების გამოსვლებს და გლობალური ტენდენციების მიმოხილვას, საერთაშორისო კვლევით ინიციატივებსა და ინსტიტუციურ საუკეთესო პრაქტიკებს. **მეორე დღე** ორიენტირებული იქნება ადგილობრივ ინოვაციებზე — წარმოდგენილი იქნება საუნივერსიტეტო AI პროექტები, დარგობრივი გამოყენებები და საბაზისო ინიციატივები, საქართველოს AI ეკოსისტემიდან.

I დღე – 18 სექტემბერი

თემა: AI-ის განათლებასა და კვლევაში ინტეგრაციის გლობალური პერსპექტივები

ენა: ინგლისური

ფოკუსი: საერთაშორისო თანამშრომლობა, ინოვაციები და კვლევითი ინიციატივები

მისასალმებელი სიტყვა:

- **როინ მეტრეველი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი
- **ზვიად გაბისონია** – საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე
- **ვაკო თურნავა** – საქართველოს პარლამენტის წევრი.

სპიკერები (წინასწარი სია):

- **ვლადიმირ ნოროვი** – ცენტრალური აზიის ხელოვნური ინტელექტის ასოციაციის თავმჯდომარე (ონლაინ)
- **იან ალექსანდერსონი** – კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი, გერმანიის ხელოვნური ინტელექტის კვლევის ცენტრი (DFKI)
- **ანდრეი გირენკო** – კვლევა-განვითარების მენეჯერი, DFKI
- **ავი სტაიმანი** – დამფუძნებელი და CEO, Academic Language Experts
- **ლევან ხეცურიანი** – Horizon Europe-ის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში
- **დავით გამყრელიძე** – საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ხელმძღვანელი.

II დღე – 19 სექტემბერი

თემა: AI საქართველოში: კვლევები, ინოვაციები და სექტორული თანამშრომლობა
ენა: ქართული
ფოკუსი: ეროვნული ინიციატივები, საუნივერსიტეტო პროექტები და ადგილობრივი ეკოსისტემა

სპიკერები (წინასწარი სია):

- **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
- **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
- **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**
- **ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი**
- **საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ასოციაცია**
- **სტარტაპები და კომპანიები:** Helio.ai / AILab / DAL
- **საერთაშორისო AI კვლევითი პროექტები:** GAIN და FORGE-AI.